ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #140

25 ივნისი 2012 წ.

შპს ,,სპორტული კლუბი - ჩოხატაური 2001“ (მორაგბეთა კლუბი„ღონე“, საფეხბურთო კლუბი ,, XXI საუკუნე“)-ის (ს/კ 242002006) საკუთრებაში არსებული დ.ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩა #45-ში მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1150.00 მ^2. მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #28.01.22.116) ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად შეძენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ბ“ პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საქართველოს რეგიონებში ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის #972 განკარგულების 1.43. პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, შეძენილი იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შპს ,,სპორტული კლუბი - ჩოხატაური 2001“-ის (მორაგბეთა კლუბი „ღონე“, საფეხბურთო კლუბი ,, XXI საუკუნე)“ (ს/კ 242002006) საკუთრებაში არსებული დ.ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩა #45-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების 1150.00 m^2. მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 28.01.22.116).

2. ინდივიდუალური აუდიტორი ,,თამაზ ბუკია“-ს 2012 წლის 14 ივნისი # 03 აუდიტორული დასკვნისა და ქონების მესაკუთრესთან შეთანხმების შედეგად ქონების საბოლოო ღირებულება განისაზღვროს 130 000 ლარით.

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს (ზურაბ ჩანტლაძე) კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება უძრავი ქონების მესაკუთრესთან და აიყვანოს ბალანზე შეძენილი ქონება.

4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის უფროსს (მალხაზ დოლიძე) შეძენილი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართი: ჭავჭავაძის ქ. # 4

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*